## ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 52.

კლასიფიკატორის კოდი: 48200000.

ქ. თელავი 17. აპრილი 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ: ა. ა. (ი). პ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის უფროსის ჰამლეტ რაზმაძის სახით, (ბრძ. № 2/229 17/04/2013 წ.) შემდგომში „შემსყიდველი" ს.ნ. 231187168, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1 და მეორეს მხრივ: შ. პ. ს. „სტუდია ვებჯორჯია", ს/ნ. 205197320, მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ფშაველას № 45, მისი დამფუძნებელ - დირექტორის ვახტანგ ჯინჯიხაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და მისი საგანია: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შესაბამისი ობიექტის) საიტის, ფეისბუქის გვერდის, ლინკის ან საპრეზენტაციო გვერდის დამზადება და განთავსება საინფორმაციო-შემეცნებით პორტალზე **CODNA. GE;**

საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს: ინფორმაციას, ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 10 ფოტოსურათს და 4 ვიდეო-ფაილის ლინკს (ვიდეო ფაილი განთავსებული უნდა იყოს საიტზე **www. youtubi. com**).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ სურვილის შემთხვევაში დამკვეთი მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის სამართავი პანელის მონაცემებს დებულობს, რომლითაც მას თავისი საპრეზენტაციო გვერდის მისი სურვილისამებრ მართვა (ინფორმაციის, სურათების, რუკის, ან ვიდეო-ფაილების ლინკის გამოცვლა) შეეძლება.

### 2. ხელშეკრულების ობიექტი.

2.1. „მიმწოდებელი" ვალდებულებას კისრულობს „შემსყიდველის" ზეპირი მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველს" გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

### 3. შესასყიდი მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი.

3.1. მომსახურების თარიღად ითვლება მისი ფაქტიური შესრულება.

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვ. ფშაველას № 45.

### 4. შესასყიდი მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი.

4.1. შესასყიდი მომსახურება, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო საანგარიშსწორებო დოკუმენტების (სასაქონლო ზედდებული და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერის შემდეგ.

4.2.შესასყიდი მომსახურების (მისი ნაწილის,ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.3.„შემსყიდველი" ვალდებულია ერთჯერადად მიაწოდოს „მიმწოდებელს" შესასყიდი მომსახურების ნუსხა და მიწოდების ვადები, იმ პირობით, რომ „მიმწოდებელს" ქონდეს საჭირო დრო მომსახურებისათვის.

## 5. მხარეთა უფლება მოვალეობები.

5.1.„შემსყიდველი" ვალდებულია:

–გადაუხადოს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება;

–მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.2. „შემსყიდველი" - მოვალეა შემსრულებელს დროულად მიაწოდოს საპრეზენტაციო გვერდისთვის საჭირო მასალა (იფორმაცია, ფოტო მასალა და სხვ.) და განთავსებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელშეკრულებით გათცალისწინებული გადასახადი.

–მოსთხოვოს „მიმწოდებელს" სათანადო ხარისხის მომსახურების გაწევა.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

–გაუწიოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში. ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში **CODNA. GE** – ზე განათავსოს საპრეზენტაციო გვერდი ან საიტის ლინკი და ამის შესახებ აცნობოს დამკვეთს, (ხელშეკრულებაში მითითებულ **mail** –ზე გაუგზავნოს შეტყობინება).

–დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა.

5.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

–მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 6. ხელშეკრულების მოცულობა და საერთო ღირებულება.

6.1 .ხელშეკრულების საერთო ღირებულების მოცულობა განსაზღვრულია: 250 (ორასორმოცდაათი) ლარით.

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმად მხარეები ირჩევენ: უნაღდო, ანგარიშსწორებას.

7.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდგომ და მისი შესრულების, (მოთხოვნის) საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების **4.1. პუნქტის პირობის შესრულება.**

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მომსახურების მიწოდების ვადების „მიმწოდებლის" მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2%-ის ოდენობით.

8.2. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების ღირებულების „მიმწოდებლისათვის" დაგვიანების შემთხვევაში.

### 9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,რომლებიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები.

9.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება ადეკვატური მომსახურების მიწოდების ან გადახდილი ღირებულების მოთხოვნის უფლებით.

9.4. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2014წლის 17 აპრილამდე.**

11.2 ხელშეკრულების ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოშობილი ურთიერთ ვალდებულებებისაგან.

### 12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

### 13. მხარეთა იურიდიული მისამართები.

13.1. „შემსყიდველი"- ა.ა.ი.პ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.ნ. 231187168, ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22. a/a GE90BE0000000444630700.**

13.2. „მიმწოდებელი“– შ. პ. ს. „სტუდია ვებჯორჯია“, ს/ნ. 205197320, მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ფშაველას № 45, ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: **TBCBG22**. ანგ.№ **GE57TB7302836020100001.**

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

------------------------------ ------------------------------

/ ჰამლეტ რაზმაძე / / ვახტანგ ჯინჯიხაძე /